


K 87.090
3

36136320
303-010151

ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ

19 - କୃଷ୍ଣମୁଖୀଙ୍କା - 59


ମୁହିଁ ପରିବର୍ତ୍ତନ



ତାଙ୍ଗମାନ
ମୂରମାନ ଲ୍ୟାଙ୍କାନିଙ୍କିଲା



ନାନ୍ଦିନୀ ପରିବର୍ତ୍ତନ
ବ୍ୟାକାନିଙ୍କିଲା
ବ୍ୟାକାନିଙ୍କିଲା
ବ୍ୟାକାନିଙ୍କିଲା
ବ୍ୟାକାନିଙ୍କିଲା



3. ე უ პ ა ს ე მ ი

* * *

მაშ, მამულს თასი!
სხვა რაა მსგავსი,
რა შეედრება ძალით
მიწას, სიცოცხლის
სიტკბო და ფასი
სადაც პირველად ვცანით?!
მშობლიურ ზეპას,
მშობლიურ მთა-ბარს,
ნაცნობ ღელეთა ჩხრიალს?!
პირველ გავეთილს
და პირველ ანბანს
და სიყრმის დღეებს მზიანს?!



ჰომი, მამულო!
კრულ იყოს, კრული! ეროვნული
მარქვი, მცვრეტელი შენი,
ვინ არის იგი,
რომ მისი გული
არ ფრთხიალებდეს ლხენით!

1812

* * *

იქ ნათელია ცის ლაუვარდი და წყარო წმიდა!
იქ ხმატებილია ჭალა-ჭალა გალობა სირთა!
ჰომი, მამულო! დღითა ყოვლით აღმავსებ ლხენით!
სადაც არ უნდა ვყუო, შენსკენ მოვდივარ ფრენით—
შენი ვარ, შენი!

ო, მახსოვს, მახსოვს, შუქი მხისა სალამო ხანად
ცვრიან ბალახში ციაგობდა; ელავდა მკრთალად,
მჩე ჩამავალი ვერცხლისფერად სხივებსა ჰლვრიდა
და მუხნარებში ეშვებოდა დუმილი ციდან...

მახსოვს ტბა ლურჯი, ტბა წყნარი და დუმილით სავსე,
შუადღის ხვატი და ტირიფის ჩრდილები ტბაზე,
რქენა, ბლავილი, ყიუინა და ძახილი ჯობნის,
ტბაში თავდაღმა ჩახატული სურათი სოფლის...

უამსა ცისკრისა იქ პაწია გალობდა ჩიტი,
ენთებოდა და ვრცელდებოდა აისი შშვიდი...
ო, იქით, იქით მივყვებოდი ოცნების ბურანს
და ყველაფერი, ყველაფერი, მეგონა სრულად—
იქ იყო სულა!

1816



ჩ ი რ ა ბ

ჩიორა დახტის,
ჩიორა დაპქრის,
ჩიორა სტვენს;
ჩიორა დახტოდა,
ჩიორა დაპქროდა,
სად დაპქრის დღეს?
სადა ხარ, სტვენიავ?
სადა ხარ, ფრენიავ?
აწ უცხო მხარეს
ბუდეს დასტრიალებ,
იქვე გასწურიალებ,
ჩიორავ ჭალებს.

1849

მ ე ბ ო ბ რ ი ბ ა

მეხდაკრული და მწვერვალიდან დაგორებული
ძირს ეგდო მუხა, რათა გვენახა
ზედ უსურვაზი დაკონებული
და გვეთქვა ჩუმად:
— მეგობრობავ, ეს ხომ შენა ხარ!

1805



ის იწვა უძრავად —
მძიმე შრომით დალლილს და მაუნდობულის
ძირს დაეშვაო ხელები თითქოს.
ვიდექ თავდახრით, მარტოდმარტო,
ვიდექ მდუმარი
და მიცვალებულს
ჩავუურებდი თვალებში დიღხანს —
მას დახუჭული ჰქონდა თვალები.
ნაცნობი იყო მისი სახე ო, ჩემთვის ძლიერ,
და მე შევნიშნე: რაიც მასზე იხატებოდა,
ჩენ, ცხოვრებაში,
არ გვენახა იმისი მსგავსი.
აშ აღარ ენთო მის სახეზე
დიადი ცეცხლი ზეშთაგონების
აღარ ბრწყინავდა ვეებერთელა
მისი გონება — ო, არა, მაგრამ,
რაღაც სხვა აზრით იყო იგი შემობურვილი —
მაღალი აზრით, ულრმესი აზრით.
შეჩენებოდა, რომ იმა წუთს ეცხადებოდა
მას მიუწვდომი ჩვენთვის ჩვენება;
რაღაც ხდებოდა მის გარშემო
შეუცნობელი,
და მე მისთვის მსურდა მეკითხა:
— მარქვი, რას ჰქედავ?

1837





დ. 3. დავით გრიმი

ბორო დინოს ვიჭი

დაღუმებულო გორაკებო, სალაში თქვენდა,
ველო მორწყულო, განბანილო სისხლის ზეირთებით,
დღე დამიბრუნეთ დადაფნული დიდის დიდებით—
ბრძოლის ყიჯინი,

აბჯრის ლეწვა,
კიხვინი ცხენთა...

თვისი სახელით, თვისი ხმითა და შეძახილით,
შენ, ვინც პოლკებში ძლევის ყიჯინს სთესავ, სარდალო,
მიხმე ბრძოლაში! ჰა, მზადაა ჩემი მახვილი,
ბაგრატიონო, პომიროსის გმირთა სადარო!

მიჩვენე ბრძოლის ველისაკენ გაწვდილი ხელი;
ჰეი, რაევსკი, გენერალო და ჩემო გმირო!
შენც, ერმოლოვო, წინ გამიძეხ, შენი ვარ, შენი—
გამარჯვებათა წილ-ხვედრო და რჩეულო შვილო!

მაგრამ საღა ხართ... არსით ხმა და არსით მანილი
ბრძოლის კვამლივით გაფანტულან, წასულან წლები...
მივყვები გუთანს სევდიანი და თავდახრილი მართვა
და მშერს სითეთრე

მეომრის და

მეგობრის ძვლების.

1829

პ ა რ ტ ი ზ ა ნ ი

დასრულდა ბრძოლა. ლამისა ჩრდილი
და ეცა მოსკოვს და მწუხრით მოსავს.
როგორც ვარსკვლავი, შორი და ტკბილი,
შორს კუტუზოვის კარავი მოჩანს.
ლამის ბინდბუნდში ლაშქარი ღელავს,
ბრიალებს ცეცხლი მოსკოვის თავზე...
იწვის დაისი—ცას სისხლით ფერავს
და სისხლის ფერი ქვეყანას ავეგბს.

და, უცებ, ქვესკნელს ამოჰყვა თითქოს,
გამოხტა რაზმი სისხლიან ველზე;
მოჰქრის მერანი და ლაგამს ითხოვს,
მოჰქრის ვაჟეაცი და მტარვალს ეძებს.
როგორც მგლის ხროვა, მხედრების გუნდი
სერ-სერ ჩერდება და სისხლი შია...
ყურს მიუგდებენ, დგებიან წუთით
და მდუმარენი კვლავ ასე ჰქრიან.

ყაბარდოული ფაფახი შვენის,
შავი ნაბაღი შვენის მეთაურს,
რაზმს მოუძღვება ცხენით და ფრენით,
მოათამაშებს ლხენით ბედაურს...

ტურფა მოსკოვის შეილია, მაგრამ
აღრე შეჰკვრია ნაოჭით შუბლი—
სწყურია ბრძოლა, სწყურია დაკვრა,
და რაც მოხდება—ნებაა უფლის...

დავიწყებია სიმშვიდე ვაჟკაცს,
დასცილებია მიჯნურს და თვისტომს.
თვისტომს უწოდებს დღეს დონის ლაშქარს,
მიჯნურს—ომსა და სისხლიან მინდორს.

მეგობრადა პყავს ერთგული ცხენი—
ძუაგაშლილი გრიგალი ველთა...
ყურის ცევეტა და ფრუტუნი შვენის
და ის მოაფრენს უშიშარ მხედარს.

ერთ ხანს პორიზონტს მდინარე ნარის
გაღმა სერი-სერ მისდევდნენ ჩორთით,
მერე მხარმარჯვნივ გადასჭრეს კორდი—
ალამპრებული მოსკოვის ალით...

და ცამ ჩაყლაპა
მერნების კვალი...

1812

ბურცოვ 36

მიპარიშება ფუნჯიე

ბურცოვ, ოსტატო გალახეის,
შფოთის და სუფრის თავკაცო,
თუ გწამს ღმერთის და არაყის,—
მეწვიე—ქოხი გაგაცნო!

მეწვიე, ჩემი არიფი
და ჩემი დოსტი შენა ხარ, თრთველი
დაგხვდება ქოხი ღარიბი, გიგანტება
კართან მათხოვრებს ვერ ნახავ.

შიგ არცა ბროლი ელვარებს,
არც კედლებს შვენის მხატვრობა,
მეც დიდი გვამი არა ვარ,
ღმერთს ამაზედაც მაღლობა!

გუსარი ვარ და ვინც მნახავს,
თვალებს არავის ვუჭრელებ—
შერიით გატენილ ტომარას
სავარძლის ნაცვლად ვუჩვენებ.

არ მივის საფერფლეები
ბროლის და არცა ვტრაბახობ —
სამაგიეროდ გვექნება
ჩიბუხიცა და თამბაქოც.

კედლის მხატვრობის მაგივრად
ტყავის ჩანთა მაქვს, ჯიგარო,
ზედ ახატია კარგი რამ—
მეფის ვენზელი ვიქმაროთ.

სარკეც არა მაქვს და ულვაშს,
თავს რომლის გამოც ვიწონებ,
მხოლოდ ხმლისპირზე ვამოწმებ,
მხოლოდ ხმლისპირზე ვისწორებ...

ხოლო ვაზების სანაცვლოდ,
სანაცვლოდ ბროლის სასმურის,

ხუთი ვეება ჭიქა მაქვს,
ხუთივ—პირთამდე დასხმული.



ხუთივე ფუნჯით სავსეა,
შიგ სამოთხეა უკენობად...
მობრძანდი, გელი, ჰუსარმა
ხამს დამიმტკიცო ჰუსრობა!

1804

გოსკოვის ხილვისას

პოი, სავანევ სიყრმის ჩემის ნეტართა დღეთა,
იმედის ტკბილის და ამაყი ოცნების კერავ,
ო, მარქვი, მარქვი, შვილთაგან შენთა
ვინ არის იგი, ვინც გულგრილად მოგაპყრო მზერა!
აღუტაცებლად ვის ძალუძს ჭვრეტა
შენთა პალატთა,
შენთა ჭალათა
და ველთა შენთა მწვანილოვანთა!

1827

სიმღერა

ხმალში მიყვარს გახტომა,
ლირსვარ ლაშქრად სამსახურის!
ლაგამ-აბჯრის ჩხარა-ჩხური
და ფრანგული გასარკული
არის ჩემი აღდგომა...
ხმალში მიყვარს გახტომა,
ლირსვარ ლაშქრად სამსახურის!

ჯოჯოხეთსაც ვეწიო,—
 და შენთვის,—არად მიჩანს,
 ჰე, რუსეთის ცავ და მიწავ,
 რაც მომხდური გადაგვირჩა,
 მობრძანდეს და გვეწვიოს!

ჯოჯოხეთსაც ვეწიო,
 და შენთვის,—არად მიჩანს!

მაშ, კარავქვეშ გავლიოთ
 ეს ცხოვრება საუკუნოდ:
 დღისით—ვაშა ვაგუგუნოთ,
 ღამით—ცეცხლი ვაღუღუნოთ
 და არაყიც დავლიოთ...

მაშ, კარავქვეშ გავლიოთ
 ეს ცხოვრება საუკუნოდ!

ჰე, მწარეა, თავდახრილი
 შენს ლოგინში კვდებოდე,
 მიხრწნილი და გადაღლილი!
 მოგელოდეს ბალდახინი
 და ნელ-ნელა ჰქინებოდე...
 სიკვდილს ტახტზე ხვდებოდე—
 ჰე, მწარეა, თავდახრილი!

სულ სხვაა და ლამაზი—
 ომში ერთ წუთს გათავდები,
 სიკვდილს ისე ჩაბარდები,
 რომ არც ფიქრობ ამაზე...
 სულ სხვაა და ლამაზი—
 ომში ერთ წუთს გათავდები!

ხმალში მიყვარს გახტომა,
 ლირსვარ ლაშქრად სამსახურის!
 ლაგამ-აბჯრის ჩხარა-ჩხური
 და ფრანგული გასარეული
 არის ჩემი აღდგომა...

ხმალში მიყვარს გახტომა,
 ლირსვარ ლაშქრად სამსახურის!

1815





ქ. ს. პ უ შ ე ბ ი

ჭ ა მ თ რ ი ს ს ა ღ ა მ თ

თოვლის ბუქი ცამდის ღგება,
ქარი ქრის და ჯანლია,
ხან ძალლივით აღრინდება,
ხან მტირალი ბალლია;
თივა-ნამჯის არევით
ყავრებს მოინახულებს,
ხან გვიანი მგზავრივით
კარებს მოგვიკაკუნებს.

ჩვენი ქოხი—ძელუგანა—
ძველია და ბნელია.
რაო, ჩემო ბებრუხანავ,
რისთვის მოგიწყენია?

იქნებ ქარის ნაღარამ,
ქარაშოტის გრიალმა,
იქნებ ჯარამ დაგლალა,—
წაგთვლიმა და გიამა?

თანამგზავრო ჩემო ტკბილო,
სიყრმის დღეთა აისო,
მომე თასი, ეგებ ლვინომ
გული გამიხალისოს!
სთქვი სიმღერა: მოკვდა როგორ
ზღვისპირ სევდით მზეწვია;
სთქვი სიმღერა: კოხტა გოგო
წყაროს როგორ ეწვია.

თოვლის ბუქი ცამდის დგება,
ქარი ქრის და ჯანლია,
ხან ძალლივით აღრინდება,
ხან მტირალი ბალლია.
თანამგზავრო ჩემო ტკბილო,
სიყრმის დღეთა აისო,
მომე თასი, ეგებ ლვინომ
გული გამიხალისოს.

1825

ყ ა ნ ჩ ა რ ი

იქ, სადაც ხრიოკ და ხორშაკ
ტრამალს უკიდია ხანძარი,
მრისხანე გუშაგი მოჩანს—
აწვდილა პირქუშად ანჩარი.



შვა იგი უდაბნომ, ოდეს
ჰქუხდა მრისხანების უამი,
და მზაკვრულ ფესვებს და ტოტებს
ჩაუდგა გესლი და შხამი.

მოწვეთავს ქერქიდან წყნარად—
გამღნარი შუადღის ხვატით,
ჩერდება საღამო ხანად,
სქელდება, დედდება ზანტი...

ახლოს არავინ ეკარება,
ირგვლივ სულიერი არ ჩანს;
არცა ნადირი ეტანება
და არცა ფრინველი ანჩარს.

მხოლოდღა გრიგალი დაეხლება
ღროდადრო ანჩარის ტოტებს
და ისიც უმალვე გაეყრება,
უმალ დაგესლილი ჰგოდებს.

ხოლო თუ ღრუბელმა გაიარა,—
შეეხო სიკვდილის მოესველს,—
წვიმა ჩასჩრიალებს შხამიანი
მხურვალე ქვიშაში ფესვებს...

მაგრამ მბრძანებელი მკაცრი
არც დაფიქრებულა ამით;
ანჩართან გაგზავნა კაცი
და ისიც დაბრუნდა შხამით.

დაბრუნდა საშიში ფისით,
ანჩარის გამჭენარი ფოთლით,

თვალებში სიკვდილის ნისლით
და ციებ-ცხელების ოფლით.

მიხდოდა ძალი და ღონე,
დაემხო კარავში კვნესით,
და მოკვდა ბედკრული მონა
ზვიადი მბრძანებლის ფერხთით.

მეფემ კი ისრები დაშხამა,
საომრად მოუხმო ჯარებს,
და შავი სიკვდილი დაპგზავნა
ელჩებად ოთხივე მხარეს.

1828

ძ ი ძ ა ს

მეგობარო დღეთა ძნელთა ჩემთა,
ფრთადალლილი ქედანი ხარ ბერი!
შორის ყრუ და შორის ულრან ტყეთა
რა ხანია მარტოდმარტო მელი.
ფანჯარასთან ყარაულობ ფრთხილად,
ძიძავ, სევდა გებჯინება ყელში.
დამჭენარ თითებს შეასვენებ ხშირად,
წინდის ჩხირებს შეაჩერებ ხელში.
მიტოვებულ ეზო-ჭიშკარს იქით
შორს გამყურებ დავიწყებ ულ შარას,
საზრუნავი და ათასი ფიქრი,
ნაღველი და წინათვრძნობა გზარავს...

1827



* * *

კვლავ ვინახულე იგი კუთხე ტკბილ-მწარე მიწის,
სადაც ჩაგრულმა, დევნილმა და გადახვეწილმა
ორი ზამთარი გავატარე უჩინრად, მყუდროდ.
ათს ჩაუვლია იმის შემდეგ უკვე წელიწადს—
იცვალნენ დრონი, ქვეყნად ბევრი იცვალა ჩემთვის,
ვიცვალე თვითაც—შვილმან სოფლის მივსდიე ბრუნვას.
მაგრამ აქ მაინც ცოცხლდებიან განვლილი დღენი,
წარსული იგი ისევ ისე მომიცავს სრულად—
ასე მგონია თითქოს გუშინ ვეხეტებოდი
ამ ჭალაკებში. აი, ქოხი მიტოვებული,
სადაც ვცხოვრობდით მე და ჩემი საწყალი ძიდა.
აწ ალარ არის ჩემი ძიდა ცოცხალთა შორის,
აწ არღა მესმის კედელს იქით ფეხის ხმა მისი—
არ ჩაჰურკიტებს მთელი დღე ოჯახს.

აგე პაწია ტყე-კორტოხი, სადაც გარინდულს
მიყვარდა ჯდომა—ტბას დავცექერდი ფიქრში წასული
და თვალშინ მედგა, ვიგონებდი ჩუმი წუხილით
სულ სხვა ზეირთებს და სულ სხვა ნაპირებს...
შორის სათიბთა, დაპურებულ ჯეჯილ თა შორის,
აპა, ტბა იგი ცისაფერი გაშლილა ფართოდ.
ზედ მიპერის ნავი, მებაღური უბადრუკ ბადეს
ეწევა ფრთხილად. ნაპირ-ნაპირ სოფლები ჩანან,
შორის, სოფლებს იქით, წაფერდილა წისქვილი ჭარის
ულონო ფრთებით. იმას იქით, მამაპაპეულ
სამფლობელოთა საზღვრის დარაჯად,
იქ, სადაც წვიმით წარეცხილი სასოფლო შარი
შეღმართხე გადის,—სამი ფიჭვი დაყუდებულა—
ორი—მხარდამხარ, ერთი ცალკე. მთვარიან ღამით,
როცა ცხენდაცხენ ჩამივლია ფიჭვების გვერდით,



მომსალმებიან კენწეროთა ნაცნობის ჩქამით.
იმავ გზას მივსდევ, ის ფიჭვები კვლავ ისე დგანანეროვნული
და იმავ ჩქამით, იმავ სალმით მესალმებიან,
ოღონდ, ოდესლაც მოშიშვლებულ ბებერ ფესვებიან
ახლა ბუჩქნარი აყრილა ნორჩი,
იმ ორთა ჩრდილქვეშ შეხიზნულა ყმაწვილი ჭალა,
ხოლო ის ერთი, მეგობარი მათი მესამე,
კვლავ უშვილძიროდ, კვლავ პირქუშად გამდგარა განზე,
გამდგარა მარტო და მოხუცის გარშემო სუფევს
სიცარიელე.

გამარჯვება, თაობავ ნორჩო!

თაობავ ნორჩო და უცნობი! მე ვერ გიხილავ
დავაუკაცებულს, ოდეს მძლავრად აიყრი ტოტებს,
გადაამეტებ თდეს ჩემთა ნაცნობ-მეგობართ
ახოვანებით, და თვალთაგან უჩინარს გახდი
შენ ხშირის ფოთლით თავებს მათსას გაქალარებულს.
მაგრამ შვილიშვილს დაე ესმას შრიალი შენი,
სალამი შენი დაე ესმას შვილიშვილს ჩემსას,
ოდეს საამო გასეირნების,
ოდეს მეგობრულ მასლაათის და გავლის შემდგომ,
გარემოცული უტკბილესი ფიქრების დასით,
სალამოს ბინდში ჩაგივლის გვერდით
და გამიხსენებს.

1835





ՅԱՌԱՋԵՐԱՀԱ
ՑՈՅՆԱԳՈՐԾՈՒՅՑ

Յ. Ա. ՖԱԻՆ ԱՑՈՒՆ ՏԵՍ

* * *

Հա ոյնօ հյեմտա
Ծպյետա Մրուալո!
Կազառու զըլտա,
Բյյերտա Բերուալո!
Ճամակացուլու
Որգուլով թու-ծարո,
Ճաճակենուրուց
Գողյուս սածանո...
Կոնցուլուս եղնդյաց
Ծամունջը Ծյարո—
Ե՞ օլուր եարոծ
Էւ օլուր Բյյարոծ,

შხოლოდღა ქარის
გრიალი ისმის—
ბლავის და მზარავს
და ზეცას ჰფარავს
ჭალარა ნისლით.

1885

შ ე მ ო დ გ ო მ ა

კვლავ სექტემბერი! მზე ზოზინით ამოდის ცაზე,
ამოდის გვიან.
დასკიგლიგებენ ელამ სარკეს სხივები ტბაზე—
უღონოდ კრთიან.
ჭალარა ნისლი გარე უვლის გალუმპულ კორდებს,
სველია ველი,
შეყვითლებულან მუხნარები და ვერხვის ფოთლებს
სიწითლე შვენის...
არ ერიალებენ ჭალა-ჭალა ფრთოსნები ლხენით,
დუმარებს ზეცა, მდუმარებენ სექტემბრის ტყენი.

კვლავ სექტემბერი! კარზე გვადგას სალამო წილისა,
სუსხია დილით.
ვერცხლისაფერად იხატება—საუფლო მზისა—
მთა-ბარი რთვილით.
იღვიძებს ქარი, აამტვერებს ფუჩეჩს და ჩალას—
გრიალებს ჩქარა,
მდაითრევს ჭალას, ყვითელ ფოთლებს დაიფრენს ჯარად,
დააფენს ბარად.
მოეჯარება ზეცას ღრუბლის ნახირი ალყად,
ჩამუქდება და აქაფდება მდინარის ტალღა.

მშვიდობით! მშვიდობით! ბრწყინვალებავ მშობლიურ ცათა!
 შრიალო ტყეთა! ეროვნული
 ტკბილ-მშვენიერო ზაფხულო და ბუნების კულტურული მიმდევა
 ჩხრიალო ჩქერთა!
 აპა, ჭალაკებს ახლა წალდი ალაპარაკებს—
 ტყისმჭრელის წალდი,
 დაათოვს მალე მუხნარებს და ვერხვის ჭალაკებს,
 და მკრთალი ლანდი
 იმა მუხების, იმა თეთრი ვერხვების, მერე,
 ალებეჭდება გაყინულ ღელეს...

1836—37





Б. А. ПАПАДИЧ

206330

უკაცურია ჩვენი ზღვა,
ზედ დღე და ღამე ჯანლია;
გასშიგან ბევრი შერისხვა,
ბევრი სიმწარე მარხია.

მხნედ, მმანო! ქარი უბერავს,
აფრა გავშალეთ ტკაცუნა!
ტალღას გაეპობთ ბუმბერაზ,
კვება სივრცეს გავცურავთ!

ლრუბელი ლრუბელს მიჰყვება,
ქარი—ქარს, გვცემენ ზეირთები.
რაო, გრიგალი იქნება?
ჩვენც გრიგალს შევეჭიდებით!

მანო, მხედ! ნირის დაღებით,
გრიალითა და ბუზღუნით
ყალყზე შედგება ტალღები,
ამოღულდება უფსკრული... გიგანტები



შორს, მიღმა შავი ავდრების
ანთია მშვიდი აპრილი,
ბრწყინავს ლაქვარდის სანთლები,
გვიხმობს ალთქმული ნაპირი,

მაგრამ იქ სულით ბუმბერაზს
თუ ძალუძს მხოლოდ გაცურვა...
მანო, მხედ! ჭარი უბერავს,
აფრა გავშალეთ ტკაცუნა!

1829

* * *

თავისუფლების ნაპერწყალი თქვენ გააჩალეთ,
ჩვენი დღეები თქვენ შეამკეთ უკენობი ჯილით—
დაჰკიდეს კონდრატ რილევი, როგორც ყაჩალი...
ო, გაიხსენე, გაიხსენე, რუსეთო, იგი,
გახსოვდეს მარად, მოგონება შენ მისი გქონდეს,
მეფეთა ტახტის დასამხობად აღმდგარი რიხით
დაიგრიალებს შენთა სპათა რიგი და რიგი,—
მილეწ-მოლეწავ ბორკილებს ოდეს!

1826



ზღვა მიყვარს, მიყვარს მღელვარი ლურჯად,
ოდეს ავდარი კიდით-კიდე გრიალებს ურჩად ეროვნული
და ზეცას სწვდება ბლავილი ტალღის;
ხოლო ხომალდი, რომელს შიში არა აქვს ჯანღის,
მხნე და ამაყი თვისის დიდებით,
ბობოქარ სივრცეს ეშურება გულდამშეიდებით.

1827

პუშკინის ძიძას

როდიონოვნავ, ჩემო ყველავ, სინათლევ თვალთა!
როდიონოვნავ, დაგივიწყე გეგონა მართლა?!
სოფლურ ცხოვრების ოდეს ვიგრძენ ბედნიერება,
ვტოვებდი მისთვის დიდებას და მეცნიერებას,
ვტოვებდი ამა ერთფეროვან დღეების ბანაქს,
პროფესორების, მოწყენის და პრუსების ქალაქს,
და შენ, გაშლილი გულითა და გაშლილი ხელით,
შენს ნეტარ ჭერქვეშ მხვდებოდი ლხენით,—
სადაც პუშკინი, მხნე და გულით უტეხი მარად,
კაცთა ლალატის, მითქმა-მოთქმის ჩამგდები არად,
იდგა ქურუმად პოეზიის საკურთხეველთან...
გადმოვივლიდი ზაფხულ ტყე-ველთა,
გადმოვლახავდი მზიანსა და მწვანიან შორეთს,
ვინახულებდი, ვეწვეოდი განდევნილ პოეტს;
თან მოგიყვანდი მეგობარს და ძველისძველ ყონალს,
ეროსის გაზრდილს და ეროსის საქმეთა მონას...
როდიონოვნავ! ხელვაშლილი მხვდებოდი ლხენით,
რა წმიდა იყო მასპინძლობა, ძვირფასო, შენი!

რა სილამაზით იგონებდი ძველთაძველ კუპები
 დასტრიალებდი სუფრას და კეცებს.
 პური და ღვინო შნოიანად სუფრაზე ძროშებით მისდევთ
 ხილსა და არაყს ჩაგვიღდგამდი სიფრთხილით თვითონ.
 რა ტკბილი იყო ის ლიმილი შენთა ბაგეთა,
 ის სისაესე და სივიწროვე მცირე მაგიდის!
 ტკბილმოუბარი იხსენებდი ამბავთ მრავალთა,
 თავგადასავლებს გვიამბობდი ძველთა თავადთა
 და ჩვენ ვკვირობდით—ოინები ზღაპრებსა ჰგავდა
 ნეტარხსენებულ მათ დიდთა გვამთა;
 გვიკვირდა შენი მიამიტი სჯისა და ფიცის,
 ხელს არ გიშლიდით, ვიჟავებდით მნოლოდლა სიცილს.
 ვმასლაათობდით უზრუნველად შენს ჭერქვეშ ძმები
 და მიფრინავდნენ საათები მსუბუქი ფრთებით.

1826





ა. 3. პრლ ცოვი

მოხუცის სიმღერა

ჰეი, გამიშვი, ხალხო!
ხალხო, შევკაზმავ ცხენს!
შევარდნის უსწრაფესად
ჩემი ლურჯაი ფრენს.

ფრენით გადვივლი ჭალებს,
ლხენით გავტოპავ ზღვებს,
ვუყელებ შორსა მხარეს
სიყმაწვილისა წლებს.

დავყრი სიბერის ძონძებს,
შევისხამ სიყრმის ფრთებს,
მოვალ, ქალწულებს ნორჩებს
კვლავ მოვუღერებ ყელს.

მაგრამ ვახ, ახლოს ბინდდება,
შორს ვინ იპოვნის გზებს, თროვნები
არასდროს აღმობრწყინდება
დასავლეთიდან მზე!

1847

ო რ ო ვ ე ლ ა

გასწი, გასწი, ცხენო!
გავაშვოთ ხნული,
გავათეთროთ რკინა
შავზე-შავი მიწით!

განთიადი ბრწყინავს,
შეხე, წითლად ცაში!
უსიერი ტყიდან
მზე გამოდის გარეთ!

გასწი, გასწი, ცხენო!
გამხარე ხნულით —
პატრონიც და ყმაცა
მე ვარ, ცხენო, შენი!

სახნის-საკვეთს ვფერავ,
მარცვალს ვისვრი ხნულში,
ვხნავ, ვთესავ და ვფარქხავ,
დავჭრიალებ ურმით.

მიხარია კალო,
მიხარია ძნები,
ვლეწავ, ვანიავებ...
გასწი, გასწი, ცხენო!

თავის დროზე დავხნავთ
ყანას, ჩემო ცხენო,
მარცვალს წმიდა აკვანს
გავუშმიადებთ ერთად.

დაპურებს მიწა,
დაარწყულებს მარცვალს,
აღაფეთქებს ჯეჯილს—
გასწი, გასწი, ცხენო!

დაპურდება ყანა,
დახრის მძიმე თავთავს,
მოირთვება მზეში
სტეპი ოქროსფერად.

იწყრიალებს ნამგალი,
ისრიალებს ცელი,
თავქვეშ მძიმე ხელეურს
დავიდებ და წავთვლემ...

გასწი, გასწი, ცხენო,
გაჭმევ რძიან ბალახს!
სულ ნაკადულს გასმევ!
სულ ანკარა ბინულს!..

1831

სოფლი ლხინი

გაილო ჭიშკარი—
ფიცრული ჭიშკარი,
შებრძანდნენ ცხენებით,
ციგა-მარხილებით.

მდაბლად ესალმება
კოლ-ქმარი წვეულებს,
შინ მიუძღვებიან
სტუმრებს
მასპინძლები.

მაცხოვრის ხატის წინ
სტუმრებმა ილოცეს,
მუხის მაგიდებთან
მერხებზე სხდებიან.
ლანგრებზე ქადების,
შემწვარი ქათმების,
შემწვარი ბატების
და ლორის
მთებია.

კეკლუცად მორთული
მასპინძლის მეუღლე
გარს უვლის მაგიდებს,
ცერებზე ტრიალებს;
რიგრიგად დაჰკოცნა
რძლები და შილები
და მაზლებს სთავაზობს
არყიან

ფიალებს.
თვითონ მასპინძელმაც
ლუდი მათრობელა
სტუმრებს მიუკითხა
ხატულა სასმურით.
თაფლიან სასმელებს
და ბადაგს არიგებს
და ალერს არიგებს
მასპინძლის
ასული.

სეამენ და ოვრებიან,
 სჭამენ და ჰყვებიან:
 მკისას და თიბვისას,
 ძველ დროში ნანახს...
 ოუ დააღვებაო
 ლვოის ოვალი ჯეჯილებს,
 ოუ დაალურჯებსო
 სტეპებში
 ბალახს!

სჭამენ და ჰყვებიან,
 ლალობენ სტუმრები
 და შუალამეზდე
 გრძელდება ასე.
 აპანდე, სოფელში
 ჰყივიან მამლები—
 ჩამქრალა სანთლები—
 გასპინძლის ჭიშკრიდან
 მოჩანს მოსახვევი
 თოვლიან გზაზე.

1880





მ. ი. ლ ე რ ა მ ნ გ რ ე ლ

კ პ ვ კ ა ს ი

თუმცა სიყრმისას მომაცილეს სამხრეთის ზღაპარს,
ჰოი, კავკასიო! რათა ყმაწვილს ახსოვდე მარად,
ერთხელ გიხილოს, მხოლოდ ერთხელ—ისიცა კმარა:
როგორც სამშობლოს ტკბილ სიმღერას და მშობელ მთა-ბარს,
ო, ვეტრფი კავჯას!

ჯერაც ყმაწვილმა საყვარელი დავკარგე დედა,
მაგრამ მისი ხმა—გავყურებდი მწვერვალთა ლაშქარს—
მესმოდა შორით, როცა მწუხარი იწყებდა კაშკაშს...
ამისთვის მიყვარს კიუხები მე იმა კლდეთა—
ო, ვეტრფი კავკასს!



ჰოი, ქედებო! ბედნიერი მე ვიყავ თქვენით,
მეხუთე წელი სევდითა და ოკნებით გამყავს,— ეროვნული
მანდ შევეფეოთ ღვთაებრივი თვალების ლამპაზე,
და ღელავს გული, და ათასჯერ ჩურჩულებს ლხენით:
ო, ვეტრფი კავკასი!

1830

* * *

შხარავს დეზთა ელვარება,
შენი ცოდვით თვალსა ვხუჭავ,
ეგ ფერდები მენანება,
ეგ გვერდები, ჩემო ლურჯავ.

არ სცოდნიათ დეზი ძველებს,
ცხენებს ისე აქენებდნენ,
დასჭუროდნენ შეშლილ მერნებს,
მსხვილი სახრით აქრელებდნენ.

მაგრამ, სწავლა-განათლებით,
მამაპაპურ წესის ნაცვლად,
გაჰქრა ტლანქი აღათები—
სახრის ნაცვლად დეზი გაჩნდა...

ამ ჩვენს დროში ზურგისათვის
ყველა კარგის მდომელია—
ფერდში გჩხვლეტენ—უკეთესი
ლმერთმა უწყის რომელია!

1833—34

ორი ბუმბერაზი

იდგა რუსი ბუმბერაზი,
ოქროს ჯიღა შვენოდა,
შორის მხრიდან მრუმე რაშით
სხვა ბუმბერაზს ელოდა.

ცხრა მთას იქით ისიც ჰქუხდა
ლეგენდებით ბურვილი,
და ორთავეს გულში დუღდა
შეკიდების წყურვილი.

და Ⴢა, მოჰყვა ცხენთა ჭიხვინს,
გაჩნდა ომის ქარბუქით,
და დამხვდლურის ოქროს გვირვეინს
წაეტანა ჭაბუკი.

მაგრამ რუსმა ბუმბერაზმა
მას ლიმილი აჩუქა:
გაძჟრა მხარი—კადნიერი
შორს გასტყორცნა პასუხად...

დაენარცხა იგი ზღვაში
შორს, უკაცურ კლდიანებს,
სადაც ტალღა მიჰქრის ცაში,—
ქარაშოტი გრიალებს.

1532





II. ს ი პ ი გ ი ნ ი

რ უ ს ე თ ი

ცისფერ კარავქეშ
უსაზღვრო ცათა,
ვხედავ, სტეპები
ლალანებს მწვანედ,

და სტეპებს იქით,
ღრუბელთა ზემოთ,
დამდგარან მთები
ბუმბერაზებად.

მდინარეები
ჩქარობენ ზღვისკენ,
ვაშლილან გზები
ოთხივე მხარეს.

გავხედავ სამხრეთს;
 მწიფე ყანები
 ლერწმის ტევრივით
 ირჩევა ზანტად,

სტეპში ხალიჩად
 ჰფენია მოლი,
 ვენახში ვაზი
 ეხვევა ჭიგოს.

მხარესა ჩრდილოს
 სხვა სურათს ვხედავ:
 ვითარც ბუმბული
 ირევა თოვლი,

ღელავს ლურჯი ზღვის
 მაღალი მკერდი—
 ზედ გორა-გორა
 დადის ყანული;

ვხედავ, აისი
 წითელის ხანძრით
 როგორ ათენებს
 უსიერ წკვარამს...

ეს შენ ხარ, შენ ხარ,
 რუსეთო—გხედავ
 მართლმადიდებელს,
 მძლავრსა და დიადს!

მეფურ სიტურფით
 და სიდიადით

მიწისა პირზედ
გაშლილხარ ფართოდ!

შე შენ გეტყვი და,
სივრცე გაკლია,—
ამაყმა ნებამ
ფრთები გაშალოს!

შე შენ გეტყვი და,
სიმხნე გაკლია,
ანუ წარსული
ამჭუხრებული...

მარქი, მამულო,
ვინ იყო იგი,
ვის დაჩიქილმა
ეცი თაყვანი?!

შენს ტრამალებში,
შენს ყორღანებში
გორად აწყვია
მხედრობა თათრის.

ან დასავლიდან
ახლა არ იყო,
რომ მოგეჯარა
ლრუბელი შავი?!

ელვა-ქუხილით
რომ იძრა მიწა,
ძირს დაეფინენ
ულრანი ტყენი,

და ავტელითი
სვეტი კვამლისა
სტანიცებს თავზე
დაადგა სვეტად?

მაგრამ, იხმო რა
ხელმწიფებ ხალხი,
ყოველის მხრიდამ
აღსდექ, რუსეთო.

აღსდექ ერთიან
ქალით თუ კაცით,
სისხლიან რთველში
დაუხედი სტუმრებს...

დღეს უდაბურთა
ტრამალთა შორის
იგი სტუმარნი
ნამქერში წვანან.

მათ მესაფლავედ
ქარბუქი ჰერდათ,
ჭირისუფლად და
მოზარედ—ქარი...

ხოლო აწ შენთა
დაბათა შინა
უმრავლეს მწერის
ცუსფუსებს ხალხი.

ჭალარა ზღვებით
ხომალდებს შენსკენ

შორი ქვეყნების
სალამი მოაქვთ.

შრიალებს ტუე და
ყვავილობს ველი,
გაქვს ოქრო-ვერცხლი
წიაღთა შინა,

და დუნიაზე,
მხარესა ყოველს,
გაჰქუსს ხმამალლა
დიდება შენი!

დიახაც ლირს ხარ,
მამულო მძლავრო,
კაცმა მშობელი
გიწოდოს დედა,

დაიცვას შენი
სახელ-დიდება
და ჭირში შენთვის
გასწიროს თავი!

1853





6. ა. ნ ი ა ს მ ე ბ

ა მ ს ჭ ა ვ ლ ე

ჰე, მეეტლევ, გასწი ბარემ!
ამ ხრიოკმა დაგვლალა—
მოსაწყენი გზები არი...
შემოგვიჯექ, ცანგალავ!

ფეხშიშველი, დაკონკილი,
ტანზე კუჭყი ბლომადა...
ნუ გრცხევნია—ეგ ხომ გზაა
ბეკრთა სახელოვანთა!

ყური უჩანთ წიგნებს ჩანთით—
კლასში მიხვალ, ბიჭუნავ...
ვიცი, მამამ შვილისათვის
ჯიბე გადმოიბრუნა!

...თვით გაიგებ უკვე კლასში—
გეტყვის მასწავლებელი,
როგორ გახდა ბუმბერაზი
გლეხი არხანგელსკელი.

ვინმე მხსნელად გაგიჩნდება,
აგიხდება სიზმარი—
მოსკოვისკენ წაგიძლვება,—
შენც მოსკოვში ისწავლი.

უქ მეტია ასპარეზი—
ნუ წახდები, ყაძახო!
აი, რისთვის—სიყვარული
მინდა რუსეთს გავძახო.

არ ბერწდება ის ბუნება,
იმ ქვეყანას რა მოჰკლავს,
ხალხისკენ რომ იყურება,
ხალხიდან რომ გამოჰყავს,

მედიდურთა, ჩლუნგთა შორის,
ესოდენი ახალი,
ნებით მტკიცე, სულით მძლავრი
და გონებით მაღალი.

1856

შ ი 6 3 ა—ს ა რ დ ა ლ ი

ეს განა ქარია ამტყდარი,
ან წყარო მოხტის და წყარუნებს!
ყინვაა—ნაჯები სარდალი—
ზვერავს და ამოწმებს მამულებს.

ტყებში ბილიკებს ამოწმებს:
 ქარბუქთა ხომ კარგად ჩათოვა!
 ნაპრალი ხომ არსად გამორჩა,
 ხარვეზი ხომ არსად დატოვა!

ხის წვერებს ხომ ათოვს ფაფუქად,
 ჩუქურთმა ხომ არის ბრწყინვალე!
 ხომ მაგრად გათოშა ქარბუქმა
 დიღი და პატარა მდინარე!

მოდის და აბიჯებს მუხნარში
 გაყინულ თოვლ-ჭყაპის ჭრიალით,
 და იმის წვერსა და ულვაშში
 მზეს გააქვს ბრწყინვა და ბრჭყვიალი.

დიდ ფიჭვე გასული ამაყად
 კომბალით ტოტს დაჭრავს ხანდახან
 და ვაჟკაცობაზე ხმამალლა
 თავისთავს უმღერის ტრაბახა:

„ქარების, თოვლების, ჯანღების
 სუსხიან სამეფოს განვაგებ!
 ზღვას გავალ, სარდალი ნაქები—
 ყინულის დარბაზებს ავაგებ!

ვისურვებ—ბუმბერაზ მდინარეს
 ყინულის ცხრაკლიტულს ვანახებ
 და ხიდებს ავაგებ იმგვარებს,
 ხალხი რომ ვერასდროს ააგებს!

იქ, სადაც მქუხარე ტალღები
 მიჰქოდნენ ზათქით და ჯახანით,
 ფეხდაფეხ გადიან მგზავრები,
 ყინულზე ჭრიალებს ალალი...



უხვი ვარ, განძეულს არა უფლოდ;
და მაინც არასდროს მცირდება,
და ჩემი სამეფო—მარადი
ვერცხლით და აღმასით ბრწყინდება.

1863

მ წ ა ნ ე ხ მ ა უ რ ი

მოდის,

გუგუნებს
მწვანე ხმაური—
მწვანე ხმაური
გაზაფხულისა!

თამაშ-თამაშით ჩაიცრენს
უეცრად ზენა .ქარი;
მურყანის ოლეს დაითრევს,
შეარხევს მთელის ძალია;
წამოამტვერებს ყვავილებს,
თითქოს ღრუბელი არის...
მწვანეა ირგვლივ ყოველი—
ჰაერიცა და წყალიც.

მოდის,

გუგუნებს
მწვანე ხმაური—
მწვანე ხმაური
გაზაფხულისა!

რძისფრად ანთია ბაღები,
 დგანან ალუბლის ბაღები—
 მესმის შრიალი ნელი.
 გამთბარან მზიან დღეებით
 დიდი ფიჭვნარი ტყეები—
 შარიშურობენ ლხენით.

და ახლადგამოფოთლილნი,
 ახალ სიმღერის დამწყებნი,
 დგანან ხუჭუჭი არყები,
 დგანან ფერმერთალი ცაცხვები.
 გააქვს შრიალი ნაკერჩხალს,
 ლელს და ლერწმიანს მაღალს;
 საგაზაფხულო სიმღერას,
 სიმღერას ვისმენ ახლს...

მოდის,

გუგუნებს
 მწვანე ხმაური—
 მწვანე ხმაური
 გაზაფხულისა!

1862

ო ა ვ ე ლ ი

დაპურებულა ჯეჯილი,
 მოოქროვილა თაველი,
 ოქროფერილი ყანები
 წელგამართული დგანან.
 გაუდის ყანებს შრიალი,
 შრიალებს ალერსიანი
 ყანა...

რა საოცნებო ქამია!
დრო-ქამი უფრო მდიდარი,
ტურთა და ხალისიანი,
სხვა რომელია განა!
ჰე, ზღვადქცეულო ჯეჯილო,
დღეს საოქმელადაც ძნელია,
რა ღვაწლმა, შრომამ, რა ზრუნვამ
და რა ამაგმა გზარდა.
ვიდრე შენ დაპურდებოდი
და გლეხებაცს წარუდგებოდი
როგორც ლაშქარი სარდალს...
ყანავ, ცისნამი კი არა,
უუფუნა წვიმა კი არა—
გლეხებაცის ოფლი გბანდა!

1863

ფიშჩი სადარბაზო პართან

ერთხელ ვიხილე, მოწიწებით ამ კართან შედგნენ
რუსი გლეხები, გლეხებაცები საცოდავები...
გახედეს საყდარს, გაღისახეს პირჯვარი შემდეგ.
წარმოთქვეს ლოცვა და ჩაჰკიდეს ქერა თავები.
გამოჩნდა კარში შვეიცარი. „შეგვიშვი“, — უთხრეს,
მიაპყრეს თვალი ტანჯვითა და იმედით სავსე.
ახედ-დახედა შვეიცარმა გულგრილად სტუმრებს:
მჩით გარუჯულებს ულაზათოდ იცვიათ ტანზე!
შემოსცვეთით ძველისძველი არმიაკები,
წელში მოხრილებს თითო ჩანთა ზურგზე ჰერიდით;
კისერზე — ჯვარი, ფეხზე — სისხლის შავი ლაქები...
ჩანს, ბანდულებით გამოვლილი გზები დიდია!
ჩანს, შორეული მაზრებიდან გზებმა დალალეს,

ჩანს, შორი გზიდან, შორი მხრიდან უვლიათ დაწლილოთ.
მაღლით შეეიცარს ჩამოსძახეს: „ჩქარა გაუქარები ჩამოსძახე
ბატონს არ უყვარს დაძონძილი, ბოგანო ხალხი!“
და ცხვირწინ ზაოქით მოუხურეს კარები მაშინ.
იდგნენ მდუმარედ, მერე გახსნეს ქისები მწირი,
მაგრამ მეკარემ არ შეუშვა ისინი კარში
და არც მიიღო შეძლეული გროშები მცირე...
და გამობრუნდნენ: „ხარ მსაჯული, უფალო ჩვენზე!“
სასომიხდილნი გზას დაადგნენ მხურვალე მზეში
და მერე დიდხანს, ვიდრე მათი დანახვა შევძელ,
მიაბიჯებდნენ თავდახრილნი ქუდებით ხელში...
* * * * *

ინახულებენ ქალაქგარეთ დარიბულ დუქანს,
მიახარჯავენ უკანასკნელ გროშსა და შაურს,
დაადგებიან მათხოვრობით იმავ გზას უკან,
დაიკვნესებენ...

მშობლიურო მიწვ და ცაო!
დამისახელე, დამანახე, მითხარ, მაჩვენე—
ვერ მოვესწარი მე იმგვარი კუნკულის ხილვის,
სადაც ცრემლები არ ახრჩობდეს მხვნელს და მარჩენალს,
სად მაღალ ზეცას არ სწვდებოდეს გლეხკაცის გმინვა!
გმინავს და კვნესის რესი გლეხი რუსეთის გზაზე,
საპყრობილები, მაღაროში ბორკილი ადევს;
კვნესის ყანაში და სათიბში ნაღველით საესე,
კვნესის ფორანქვეშ, როცა დამეს ტრამალში ათევს...
გადი ვოლგაზე: დედა-ვოლგა გმინავს და კვნესის,
ვისი გმინვა? ვისი კვნესა აღავსებს მთა-პარს?!
სიმღერააო, მაგ გმინვაზე იმბობენ ჩვენში,
ეგ—ბურლაკები ეწევიან ვოლგისპირ ჭაპანს.
ო, ვოლგა, ვოლგა! აღიდდები აპრილში როცა,

შენ ველებს ისე არ აღავსებ ზეირთების დენით,
როგორც სახალხო მწუხარებით, სახალხო სევდით როვანები
აღვსებულია უბედური ქვეყანა ჩვენი!



სადაც ხალხია—იქვე კვნესაც... ეჭა, კეთილო!
სოქი, რასა ნიშნავს შენი კვნესა განუწყვეტელი?

შენ გაიღვიძებ და აღსდგები აღვსილი ძალით,
თუ ბედის მორჩილს რაც შეგეძლო, შექმნილი არი—
შეჰქმენ სიმღერა კვნესისა და გოდების დარი—
და სულიერად საუკუნოდ შეიქენ მკვდარი?...

1858

რ უ ს ე თ ი

შენა ხარ ლატაკიც,
შენა ხარ მშიერიც,
ხარ უხვიც, უძლურიც
და ყოვლად ძლიერიც,
დედაო-რუსეთო!

გული მონობაშიც
აზატად შოენილა—
ოქროა ხალასი
და გადარჩენილა.

სინდისი წმიდა და
სიმართლე დღეგრძელო—
ძალაა ხალხისა
ყოვლისა შემძლები.

უსამართლობასთან
სული ვერ თავსდება,
უსამართლობასთან
შებრძოლიც არ ჩნდება—

რუსეთი არ იძვრის,
სდუმს, როგორც ცხედარი,
მაგრამ დაფარული
ლვივის ნალვერდალი.



ჰა, აღსდგნენ ძილითა,
არავის უხმია —
წვეთი წვეთს ემატა,
ზღვამ ზეცას უწია.

უშტი და უშქარი
ლაშქარი იყრება.
ეგ ძალა
ურყევი,
ურლვევი
იქნება!

შენა ხარ ტანჯულიც,
შენა ხარ მშეერიც,
ხარ უხვიც, ლატაკიც
და ყოვლად-ძლიერიც,
დედაო-რუსეთო!

1876

ა თ ა თ ა ლ ი ვ თ ლ ბ ა

ვაგლახ, ვეწიე ჭალარის,
ცვლით კი — ვიცვალე ცოტა...
ვპერეტ სხვა სურაოებს, სხვა ხანას,
დასაბამს სულ სხვა დროთა.

იქ, სად მშობლიურ მდინარეს
აბრუნებს ბედის ჩარხი,
აღსდგება თავისუფალი,
ბორკილახსნილი ხალხი,—

სანაპიროთა უდაბურ
ტრამალებს დაასახლებს;
მეცნიერება გოლიათ
მდინარეს უცვლის სახეს,—

ზედ ბუმბერაზი გემები
გასწევენ ურიცხვ ჯარად...
და მარადიულ მდინარეს
თავს დაადგება მცინარე
შრომის სუფევა
მარად!

1870





თ. ი. გ ი ე გ ჩ ვ ა მ

* * *

ყავლი გასვლია ზამთარს,
გულში ნაღველი უდევს,
გაზაფხულია კართან:
გასწი, გასწიო! — უტევს.

სუყველაფერი წრიალებს,
ზამთარს აგდებენ კარში,
ასტენეს წკრიალ-წკრიალი,
ჰა, ტოროლებმაც ცაში.

ზამთარი წასვლის ახანებს,
ებუზღუნება ჯავრით,
გაზაფხული კი ხარხარებს:
გაგივიდაო ყავლი!

გაცოფდა, თოვლი მოხვეტა,
 გაქცევის დროა აში!
 დააგუნდავა, მოხედა,
 ესროლა ტურფა ყმაწვილს...

გაზაფხული კი პირს იბანს,
 გუნდას სიცილით დახვდა;
 მტრის ჯინზე უფრო ტურფა და
 პირმშვენიერი გახდა.

1836

მ ა ი ს ი ს წ ვ ი ძ ა

მიყვარს ავდარი მაისის თვეში,
 როცა ლაუვარდში ცეკვით და გრეხით
 იელვებს ელვა, იწივლებს თქეში.
 და გავარდება პირველი მეხი.

ავარდა მტვერი და წვიმა წივის,
 კექა-ქუხილი ზეცას ალალებს,
 ყელსაბამები დაეშვნენ წვიმის
 და ურიცვ ძაფებს მხე ავარაყებს.

მთებს ნაკადული რეცხავს გრიალით,
 გალობს, არ ცხრება ჭალაკი მუხის;
 ტყეთა ერიალი, ჩქერთა ჩხრიალი
 თითქოს ბანს აძლევს მაისის ქუხილს.

1828



ყანა-ყანა
ისევ თოვლი ელვარებს,
მაინც ირგვლივ
წყაროების ძახილია —
აღვიძებენ
კალა-კორდებს მთვლემარეს,
მოხტიან და —
აპრილიო — გაჰყვირჩან...

1830

8 2 8 3 1 8 2 6 0 8 5

გამოიდარა — წაქცეული ავდარში მეხით
ძირს ევდო მუხა — გასრესილი ბოლავდა მოლი,
და კოურიანი ტოტებიდან ცეკვით და გრეხით
სველ ბალახებში გარბოდა ბოლი...
ხოლო ჭალაში რა ხანია გალობდა ჩიტი,
დასი და დასი ურიალებდა ჰანგებს მღელვარეს,
და ბოლოებით ცისარტყელის შვიდფერი მშვილდი
ზედ დაებჯინა მწვანე მწვერვალებს.

1830

* * *

ჯადოსანმა ზამთარმა
ტყე დათოვა, დათოვა,
შემდეგ მოაჯადოვა—
გარინდა და გაოვალა,
გარინდული დატოვა.

და ჰა, ბრწყინვს გრძნეული;
 არც ცოცხალი, არც მკვდარი,
 ტკბილ სიზმრებად ქცეული,
 ზამთრისაგან ძლეული—
 თეთრ ბორჯილში ჩამჯდარი.

მზე დათოვლილ ტყიანებს
 ისრით მოეჩვენება—
 მაშინ ჯიქურ იალებს,
 იფეთქებს და ბრჭყვიალებს
 საოცნებო მშვენებად.

1852





ა. ა. ფ ი გ ი

მ ე რ ც ხ ა ლ ი

მიხარის მერცხლის ყურება—
სწრაფია, როგორც ისარი,
ხან ცისკენ მიეშურება,
ხან ისევ ისე ძირს არი.

ახალგაზრდობაც ასეა:
ცათა ლაშვარდებს ენდობა,
დაპქრის და მეცხრე ცაზეა,
მაგრამ—
არც მიშა ეთმობა.

1882

მშობლიურო სურათო,
ისევ აღმაფრთოვანებ:
დაბლა თეთრი ტრამაჯი,
მალლა—სავსე მთოვარე.

მთვარის შუქზე მარგილი
და მარგილზე თოვლი...
და გაქროლილ მარხილის
ზანხალაკი შორი.

1880

* * *

ო, ეს დილა ნათელი,
მჩე სხივების მფანტველი,
ლხენა და ქრუანტელი
ლურჯი თაღი ცათა,
პეპლები და ფუტკრები,
ცაში სირთა გუნდები,
დამსხვრეული ხუნდები
და ჩხრიალი წყალთა,

ეს ტირიფის ტევრები,
არყები და თხემლები,
ეს წვეთები—ურემლები—
ლინლლი, ნაცვლად ფოთლის,
ეს მთები და ველები,
ეს ფუსფუსი მწერების,
ეს ქრიალი ფრთოსნის,



ეროვნული
გიმაზიუმი

ეს უღრუბლო დაისი,
ეს, ბნელში რომ გაისმის,
შვების ოხვრა სტანიცის,

ეს უძილოდ დაღლა,
ეს ბულბულთა წკრიალი,
ეს ლოგინში წრიალი,
ყველაფერი ერთად—
გაზაფხული განლავთ!

1871





ა. ნ. მამაკავშირი

* * *

მოსრიალდა მერცხალი
შორი ზღვების გაღმიდან,
მოსრიალდა მერცხალი,
ჩამოჯდა და ამღერდა:

— თებერვალო,
თებერვალო,
სულ ტყუილად დარდობ!
შენც ტყუილად
იქუთხები,
იმუქრები, მარტო—

გინდა იყოს წვიმა,
გინდა იყოს თოვლი,
გაზაფხულის სუნი უდის
სულ ერთია
ყველაფერს!

1864

* * *



ძექვით და ისლით გადაშამბულ უკაცურე ჭრის ტექსტი
ამ მცირე კონცხზე, ალაგ ფიქვი რომელსაც შეენის,
მოხუცებულმა მებაღურმა დამარხა შვილი.
ზღვა იყო დედა, ზღვამ გაზარდა ჭაბუკი იგი,
შანვე მიიღო თვისი პირმშო წიაღთა შინა
და მერე ფრთხილად გამორიყა ნაპირზე გვამი.
მოხუცმა მამამ დაიტირა ჭაბუკი თვისი,
შწვანე ტირიფქვეშ გაუთხარა სამარე პირმშოს,
დაადო ქვა და ჯვარს დაჰკიდა პაწია ბადე —
მათი პირქუში სიღრავის ღარიბი ძეგლი.

1840

* * *

აქ გაზაფხული, ვითარც მხატვარი
სახელგანთქმული, მუშაობს წყნარად:
ფერიდან ფერზე გადადის ფრთხილად
და თითო კვირით ჩერდება მაინც;
დაასრულაო სურათი თითქოს,
თითქოს ელისო ხალხის განაჩენს...
მაგრამ დიდოსტატს იცნობს ქვეყანა,
მისი ხელიდან გამოსულ საქმეს
ბევრი სამსჯავრო არა სკირდება —
დგას პანთეონში
მაესტროს ძეგლი.

სულ სხვაა ჩვენი სამშობლო მხარე
 და გაზაფხული მხარესა ჩრდილოს!
 სწრაფია იგი, ცქაფია იგი,
 ჯადოქარივით გაჩნდება უცებ,
 ჩაიგრიალებს სხივთა რიალით,
 წააძრობს სტეპებს საბანს თოვლისას,
 აღმოაფეთქებს მწვანე ჯეჯილებს,
 ტყე ში ტოტებზე დახეთქავს კვირტებს
 და ჰა, ყვავილით აჭრელებული,
 დამშვენებული
 ირწევა ველი.

ვერც კი მოასწრებს გლეხკაცი სიტყვა:
 „ე, ბიჭო, დარი გამოსულაო!...“
 რომ უკვე ხნულში ჩადგომის დროა,
 რომ უნდა სახნის-საკვეთი ჰფერო...
 ცაში კი, ცაში, ო, ღმერთო ჩემო,
 გაჩაღებულა დღესასწაული,
 დამწკრივებულან ქარავანები
 და ზღვიდან ზღვამდე უსაზღვრო სივრცეს
 ავსებს, აღვიძებს დაუდგრომელი,
 დაუცხრომელი
 ზრიალი სირთა.

სულო და გულო! რამდენიც ვინდა —
 სარჩევადაა ტყე და მდინარე!
 მოშრიალებენ გაბაშრულები,
 მოესწრაფვიან გაბმულნი გუნდად
 მწვანე ჯეჯილებს, გასარჯულ ფშანებს,
 მდინარეების ვერცხლისფერ სარკეს,
 და, შორიდანვე, რა დალანდავენ

ნაცნობ ულრანებს, ისლიან ქოხებს,
ნაგლეჯს კვამლისას ქოხების თავზე უკრაცელი
გადარეულნი ბიბლიოთის
აყვირდებიან...

ჰე, ჯადოქარო, იქ წარმიტაცე.
იმ საუფლოში წამიღე ჩქარა,
სადაც დღე-ყოველ, ცისმარე დილით,
განთიადი რომ იფეთქებს წითლად,
მხნედ, ლალად სუნთქავს ადამიანი
და სადაც უფლის სასწაულთაგან
ლხენით აღვსილა
გული ყოველი!

ნეაპოლი, 1859





ა. ქ. გ მ ლ ს გ მ ი

* * *

ჰეი, შენ, მხარევ მშობელო!
ცაში არწივთა ყვირილო!
თოვლში წაფლულო სოფელო!
ტრამალში მგლების ტირილო!

ჰეი, შენ, ჩემო მამულო!
მინდორში ცხენო უბელოვ!
შავი ტევრების ხმაურო!
ქარო!

სტეპო

და ლრუბელო!

1859



აბჯრიანი ვინ მოჰყვება,
ტევრს ვინ მოსდევს ჩრდილიანს?
პურის ყუას ილოლნება,
ტყე-ტყე მოდის ილია.

ტყე-ტყე მოსდევს ნელა ჩრდილებს,
ისმის აბჯრის უღერანი.
მოსტოპავს და თელავს გვიმრებს
ბუმბერაზის მერანი.

თან ჯუჯლუნებს: „გაგეცლები,
ვლადიმირო, მალეო!
უჩემოდ თუ გაგეძლების —
ალდგომა და ხვალეო!

ეგ სასახლე თვითონ გიკვირს,
ეგ სუფრებიც, ვლადიმირ.
გლეხი ვარ და პურის ყუა
გახლავს ჩემი ნადიმი!

მაგრამ ასე გამაწბილე —
უგუნურად დამსახე...
გასწი, ლურჯავ, გამაცილე
ვლადიმირის სასახლეს!

უჩემოდაც გახვევრა
მთავარს სპათა ჭედელი, —
ოლონდ ყველა ბალლებია
და დიაცთა მქვრეტელი.

გახვევიან ჯელები—
ტრაპეზი და ლხინია,
მაგრამ როგორც შეელევი,
ვნახავ, პაპა ილიას!

სხვაზე მეტი იმად ვღირვარ,
ალარ კუჭვრეტ დიაცებს,
ხოლო ხმალზე რომ მიდგება
მკლავში ჯანი იასებს.

კაცმა რომ თქვას, არ ვარგივარ
მთავრის ნაზირ-ვეზირად
და დროც იყო თავისუფალს
ქვეყნისათვის მემზირა.

მძაგს სასახლის კარად გდება,
ქვეყნად აზატს მივლია;
ცარგრადული პალატები
თავსა მტკენენ ილიას!...

სული გამძერა ლამის კიევს—
სკივრში ვიჯექ რა ხანი!
წავალ, წავალ, ია-იებს
ვეახლები თაყვანით.

კვლავ ვიგემებ ბერიკაცი
სიაზატეს სანატრელს.
გასწი, ლურჯავ, გამაცილე
ვლადიმირის პალატებს!

... და კვლავ სახე გაუბრწყინდა,
გაუნათლდა გუნება:

ტყის ჰაერი ბებერ ფილტვებს
ტკბილად ესალბუნება. 
მინისტრის
გილეკიონის

კვლავ ეძახის ლურჯი სივრცე—
ტყე, მინდორი, ბალახი...
და ფიჭვის და მარწყვის სუნით
გავსებულა ჭალაკი.

1862

მ ზ ლ ე ბ ი

როცა სოფელში ბინდდება
და ჩქამიც არსით ისმის,
როდესაც თეთრად ინთება
ჭაობებსგაღმა ნისლი,
სათითაოდ და წყვილად,
ტყიდან გამოვლენ ფრთხილად—
საშოგარზე
გამოდიან მგლები.

გაბაწრულები მიდიან,
შეიდია, ხოლო ერთი—
ის მერვე—სხვებზე დიდია,
წინ უძლვის რუხებს თეთრი.
მეცხრე მიჰყვებათ უკან—
ფეხსისხლიანი ძუჯნა—
საშოგარზე
გამოდიან ცხრანი.

ჯიქურ სოფლისკენ იძვრიან,
 გული საგულეს უდევთ:
 ლაჯებში ამოიჩრიან
 სოფლის ძაღლები კუდებს;
 ხოლო, თუ თვალი მოჰკრა,
 გლეხეაც ხომ შიში მოჰკლავს
 საშოვარზე
 გამოსული მგლების.

ჰა, საყდარს გარე უვლიან,
 დგანან ზევით და ქვევით;
 კარები გაღებულია —
 შედიან კუდის ქნევით;
 ყურს დააცევეტენ ხშირად,
 მიწას ყნოსავენ ფრთხილად —
 საშოვარზე
 გამოსული მგლები.

თვალები უგავთ ნალვერდლებს,
 კბილები — დაშნებს! მაგრამ
 შენ შიში ნუ გაქვს — საფანტით
 თოფი დასტენე მაგრად
 და მიაყოლე ერთი;
 ჯერ წიიქცივა თეთრი,
 წაეწყობიან გვერდით —
 საშოვარზე
 გამოსული მგლები.

დილით კი, როცა მამლები
 გააღვიძებენ ხუტორს,



გზისპირ ნახავენ მგზავრები
სისხლში მწოლარე ურდოს:
წინ—მეწინავე თეთრი,
ბოლოში—კოჭლი ერთი...
წვანან ერთურთის გვერდით,
სისხლში მოთხვრილი მკერდით—
• საშოგარზე
გამოსული მგლები.

1857

* * *

ჰოი, ლურჯო მაჩიტებო,
ყვავილებო ველის,
აგრე რატომ მაჩერდებით,
რისთვის შემომცქერით?
რას შრიალებთ—ხალისიანს,
ოუ სევდიან რამეს?
ორგვლივ ტურფა მაისია,
აქანავებთ თავებს...

მომაქროლებს ჩემი ცხენი,
ტრამალ-ტრამალ მოვქრით,
ითელებით ქედფიცხელი
ჩემი ცხენის ფლოქვით.
ჰოი, ჩემო მაჩიტებო,
მოვქრი ურა ცხენით—
ნუ დამწყევლით, ნუ მახსენებო
აუგით და წყენით.

განა მე კი მიხარია
 თქვენი ფეხქვეშ ფენა?
 მაგრამ აღვირს აღარ ძალუბს
 შეაჩეროს ფრენა.
 მიპქრის, მიპქრის ქედფიცხელი,
 დგება ჯანლი მიწით,
 მიმაქროლებს ჩემი ცხენი,
 საით—არ კი ვიცით.

ჩემო ცხენო, არ უწროვნიხარ
 სწავლულ მხედრებს შენა,
 შენ ქარიშხლებს გაუზრდიხარ,
 გაუწროვნიხარ ველად.
 ოქრო-ვერცხლით ვერ ხმაურობ,
 შენ, სტეპივით ლურჯო,
 შე სლავურო ბედაურო,
 უბელოვ და ურჩო!

გასჭიხვინე, ჰაუ, ტყე-ველს!
 წინ სივრცეა იქით,
 და ჩვენ ახლა გაურკვეველ
 მიზნისაკენ მივქრით.
 ხოლო რითი დასრულდება
 ჩვენი ქროლა ბოლოს—
 სევდითა თუ სიხარულით,—
 ღმერთმა უწყის მხოლოდ!

დავეცემი დაზაფრული
 ხორშაკით და ხვატით?
 თუ სათიბში ჩასაფრული
 გაიელვებს ლანდი—



გაიელვებს ყიზილბაში,
გაპარსული კისრით,
მშვილდს მოხიდავს და ტრაშილუში იმითი
დამეწევა ისრით?...

თუ სატახტოს ვნახავთ ქალაქს
დამშვენებულს კრემლით
და სამრეკლოს ლურჯი ტევრით;
შევვარდებით ფრენით...
ხალხი ღელავს სკასავით და
მოლოდინით გასცერს
და ჰა, ხედავს დასავლიდან
ლაშქარს კარგის მაცნეს.

ლრუბელივით ულვაშებით,
თვალში ლომურ მზერით,
ტანზე ჭრელი ჯუბაჩებით,
ხელში თოფუზებით,
მოირხევა ბუმბერაზთა,
ცხენოსანთა ჯარი—
სახელოებს უბერავს და
ატკაცუნებს ქარი.

გადმოდგება მბრძანებელი
აივანზე მაღლით,
შორის გზიდან ჯარებს ელის,
ჰქუბს დიდებით ახლით.
მისი ხილვა ხალხს შიშით და
სიყვარულით ავსებს;
მონომახის გვირგვინი
უელვარებს თავზე...

„კეთილ იყოს თქვენი მოსვლა! —
პრძნებს დინჯად ქველი; —
რა ხანია მართლმორწმუნე
სატახტოში გელით!“

„ვაშა! სისხლით ერთნი ვართო!“ —
ჰპასუხობენ ლალად. —

„და უფლადაც, ქვეყნის პატრონს,
ძველთაგანვე გსახავთ!“

რეკენ ზარებს, დაჭკრეს დაფებს,
უღერს გუსლართა გუნდი;
ასველებენ მეფურ ტრაპეზს
ვარბათით და ლუდით.

ხმა ოსმანთა აულს გასწვდა,
უნგრეთს გასცდა უცებ
და წურიალი სლავურ თასთა
ეკლად ხვდება პრუსებს!
ჰოი, ჩემო მაჩიტებო,
ყვავილებო ველის,
აგრე რატომ მაჩერდებით,
რისთვის შემომცერით,
რასა სწუხართ — ხალისიანს
რად არ იტყვით რამეს?
ირგვლივ ტურფა მაისია —
აქანავებთ თავებს.

1861



806556660



3.06.2019 පෙර සියලු නොවූ මුදල ප්‍රතිඵලියක් යොමු කළ ඇති තුළ

| | | |
|-----------------------------------|-----------|---|
| *** (მაშ, მამულს თანი!) | კარიბული | 3 |
| *** (ეჭ ნათელია) | გიგანტური | 4 |
| ჩიორა | | 5 |
| მეჯობრობა | | 5 |
| პუშკინი | | 6 |

16 9 6 6 2 2 6 0 13 0 6 dg 13 0 2 0 0 16 3 3 0

| | |
|-------------------|----|
| ბოროდინის ველი | 7 |
| პარტიანი | 8 |
| ბურცვეს | 9 |
| მოსკოვის მილეისას | 11 |
| სიმღერა | 11 |

ა. მოგებესანდრი სერგის ძე პუშკინი

| | |
|-------------------------------|----|
| ଶାପିର୍ବଳିର ସାହାରିତା | 14 |
| ଅନ୍ତିମିକ୍ଷମିତା | 15 |
| ଦିନାଂକ | 17 |
| ***(ଫ୍ରାଙ୍ଗିଜ୍ ଲାଇସ୍‌ନ୍ୟୁଲ୍ୟ) | 18 |

କ୍ଷେତ୍ରରେ ଏହାମନ୍ତିରେ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ

| | |
|---|----|
| *** (ରା ଇନ୍ଦ୍ରିଆ କ୍ରୀମିତା ପ୍ରସ୍ତର ଶ୍ରିରାଜାଳି) | 20 |
| ଶ୍ରେଷ୍ଠମନୁଗ୍ରହକମା | 21 |

5 9 3 3 8 3 % 2 0 6 9 0 3 0 6 4 3 0 0 1 % 0 3 0 3 0

| | |
|--------------------|----|
| მენავი | 23 |
| *** (თავისუფლების) | 24 |
| ხომალდი | 25 |
| პუშკინის ძირას | 25 |

| | |
|-----------------|----|
| მოხუცის სიმღერა | 27 |
| თროველა | 28 |
| სოფლური ლანი | 29 |

ମୋହନ୍ତି ପ୍ରକାଶ ଏବଂ ଲେଖକଙ୍କ ପାଇଁ

| | |
|-------------------------------|----|
| კავკასი | 32 |
| *** (მძარავს დეზთა ელევარება) | 32 |
| ორი ბუმბერაზი | 84 |



ରୁଷାତ୍ମକ

ବେଳିପତ୍ରର ଅନ୍ୟାନ୍ୟ ପଦ୍ଧତିର ବିବରଣୀ

| | |
|--------------------------------|----|
| ଶବ୍ଦଶାବ୍ଦୀ | 40 |
| ପ୍ରକାଶନ-ସାରଫାଲି | 41 |
| ମର୍ମବାନ୍ଦୀ ବିବରଣୀ | 43 |
| ବାଚ୍ୟାଲି | 44 |
| ଶ୍ରୀରାଜବି ସାହୁରବାନ୍ଦୀ ପାଠତାଙ୍କ | 45 |
| ରୁଷାତ୍ମକ | 47 |
| ଶବ୍ଦଶାବ୍ଦୀ ବିବରଣୀ | 48 |

ବେଳିପତ୍ରର ଅନ୍ୟାନ୍ୟ ପଦ୍ଧତିର ବିବରଣୀ

| | |
|-----------------------------------|----|
| *** (ପ୍ରାୟଲି ଗାସଗ୍ରହିନୀ ଶାଖାର୍ଥୀ) | 50 |
| ବୈଦିକୀ ପ୍ରକାଶନି | 51 |
| ବ୍ୟାପକାଲ୍ୟବିଦୀ | 52 |
| ଶବ୍ଦଶାବ୍ଦୀରେବା | 52 |
| *** (ଜ୍ୟାଫନସାନମିଆ ଶାଖାର୍ଥୀ) | 52 |

ବେଳିପତ୍ରର ଅନ୍ୟାନ୍ୟ ପଦ୍ଧତିର ବିବରଣୀ

| | |
|-------------------------|----|
| ବେଳିପତ୍ରାଲି | 54 |
| ଶ୍ରୀରାଜବି | 55 |
| *** (ମ, ଏସ ଫୋଲା ନାଟେଲି) | 55 |

ବେଳିପତ୍ରର ବେଳିପତ୍ରର ବିବରଣୀ

| | |
|--|----|
| *** (ମିଶରନାଲିଦା ମେରିପ୍ରେସ୍) | 57 |
| *** (ଏକ୍ସାରିଟ ଡା ପିଲିଟ) | 58 |
| *** (ଏକ ବାଚ୍ୟାଲିଶ୍ରୀଲି, ପାଠତାଙ୍କ ମିଶରନାଲିଦା) | 58 |

ବେଳିପତ୍ରର ବେଳିପତ୍ରର ବିବରଣୀ

| | |
|--|----|
| ** (କ୍ରେମ, ଶେନ, ମିଶରନାଲିଶ୍ରୀଲି ମିଶରନାଲିଦା) | 61 |
| ବେଳିପତ୍ରର ବେଳିପତ୍ରର ବିବରଣୀ | 62 |
| ଶ୍ରୀରାଜବି | 64 |
| *** (କିମ୍ବ, ଲୁହାରି ମାହିନୀପ୍ରେସ୍) | 66 |



РУССКИЕ ПОЭТЫ

(На грузинском языке)

Обложка и титул О. Джишвариани
Детюниздат Грузинской ССР

Тбилиси 1959

რედაქტორი დ. გაჩეჩილაძე
გამომც. რედაქტორი ვ. გვიტაძე
ჟდა და ტიტული თ. ჯოშარიანისა
მხატვ. რედაქტორი გ. ღიკე
ტექნიკური ე. მემჩარიაშვილი
კორექტორი მ. მთვრალაშვილი

გადაეცა ჭარმოებას 9/X-59; ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XI-59; ქაღალდის
ზომა 60×84; ანაზომის ზომა 6×9; ნაბეჭდი თაბაზი 4,75;
საალრიცხვო-საგამომცემლო—თაბაზი 2,22

შეკვ. № 1279 ფასი 1 მან. 20 კაპ. ტირაჟი 3000

საქ. ქა ცენ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიკომბინატი „კომუნისტი“,
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ Издательства ЦК КП Грузии,
Тбилиси, ул. Ленина, 14.

3/7/492

